თბილისი

ნ.ჩხეიძის ქუჩა №37-სა და №45-ს შორის არსებული გამოთავისუფლებული ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



ხედი ჩუღურეთზე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტო
ჯ. ბაბუნაშვილის არქივიდან

შემსრულებელი: ჯ. ბაბუნაშვილი
2012 წელი. მაისი

საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული ანალიტიკური ინფორმაცია

- ინფორმაცია მოიცავს კვლევა-ძიებას, რომელიც ჩატარებულია კულტურული "მემკვიდრეობის დაცვის" შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი 38-ე მუხლის სრული შესაბამისობით.

საპროექტო ტერიტორიის ადგილი ქალაქის სტრუქტურაში და მისი არსებული მდგომარეობის დახასიათება

საპროექტო-საკვლევი ტერიტორია მდებარეობს "ჩუღურეთში", რომელიც შედის განაშენიანების რეგულირების ზონაში და რომელსაც ეს სტატუსი მიენიჭა 1985 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, შემდგომში კი საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს მიერ.
- ადგილი, სადაც საპროექტო-საკვლევი ტერიტორია ქალაქის სტრუქტურაშია წარმოდგენილი, თბილისის და მისი ქვეყნის ერთ-ერთი სატელიტი დასახლებაა და "ჩუღურეთი" ჰქვია.
-საპროექტო საკვლევი ტერიტორია შედგება 3 საკადასტრო ერთეულისაგან და ჯამში შეადგენს 1104 მ.კვ. გაერთიანებულ 3 საკადასტრო ერთეულს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ნ. ჩხეიძის ქუჩა, დასავლეთის მხრიდან ნ. ჩხეიძის ქ. №37 ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლი, რომელიც მეტად სავალალო მდგომარეობაშია, სამხრეთიდან თავისუფალი სივრცე, ხოლო აღმოსავლეთიდან ასევე დანგრეული საცხოვრებელი სახლისაგან გამოთავისუფლებული თავისუფალი სივრცე, ხოლო თავად საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ექსპლუატაცია ვადა გასული ავარიული საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ფონური განაშენიანების სტატუსი გააჩნია.
-საპროექტო-საკვლევი ტერიტორიის არეალში განთავსებულია ისეთი მნიშვნელოვანი შენობები, როგორიცაა წმინდა ნინოს სახელობის დარბაზული ეკლესია, ევროკავშირისა და სხვადასხვა ოფისები, ე. წ. "კიბალჩიჩის" ხევის დასაწყისი, ასევე ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლები ნინო ჩხეიძის ქუჩაზე №46/2 (XX საუკუნის დასასრული), №44 (XIX საუკუნის დასასრული), ე. ახვლედიანის

(კიბალჩიჩის ქ.) ქუჩის №8 და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საკვლევი ტერიტორიის უშუალო მომიჯნავედ არსებული ნინო ჩხეიძის ქ.№37 სახლი (XIXსაუკუნის დასასრული)

- ჩხეიძის ქუჩა XIX საუკუნის მიწურულს წარმოიქმნა, ადრე მას ზასულიჩის ქუჩა ერქვა, ერთ დროს კი ჩუღურეთის. (ნინო ნუცა ჩხეიძე საქართველოს სახალხო არტისტი იყო).
- ქალაქმშენებლობითი ღირებულების მიხედვით საპროექტო ტერიტორია უნდა მივაკუთვნოთ საშუალო ღირებულების ტერიტორიულ-სტრუქტურულ ერთეულს. ასეთი მოსაზრება კვლევა-ძიების მონაცემების მიხედვით იქნა ჩამოყალიბებული.
- როგორც კანონმდებლობა გვავალდებულებს საკვლევ ტერიტორიად მიჩნეული უნდა იქნას, საპროექტო ტერიტორიის შემოგარენი შემდეგ საზღვრებში: კ. ხეთაგუროვის, ე. ახვლედიანის, პ. იბერისა, და გამცემლიძის ქუჩებს შორის მოქცეული ტერიტორია.
- საკვლევ ტერიტორიაზე გარდა მნიშვნელოვანი და ძეგლის სტატუსის მქონე შენობებისა, განთავსებულია ანტიურბანული შენობები, როგორიცაა კ. ხეთაგუროვის ქუჩაზე არსებული ორი კონტექსტიდან ამოვარდნილი შენობა ე.წ. "მედიცინის მუშაკთა" სახლი და მის მომიჯნავედ რამდენიმე წლის წინ აშენებული გაურკვეველი ფუნქციის მქონე შენობა. ამ უკანასკნელთა არსებობა ამ გარემოში ფარდაა, რომლის ფონზე ნატურმორტია განთავსებული "ჩუღურეთის" სახით.
- საპროექტო-საკვლევი ტერიტორია უზრუნველყოფილია საინჟინრო კომუნიკაციებით.
- საპროექტო-საკვლევი ტერიტორია შეიძლება მიეკუთვნოს შედარებით ეკოლოგიურად სუფთა გარემოს.
-ტრანსპორტის მოძრაობა საპროექტო ტერიტორიაზე შეუფერხებელია.
- მდინარე მტკვარსა და საპროექტო ტერიტორიის ნიშნულებს შორის სხვაობა 10 მეტრია.
-ტერიტორია არქეოლოგიურად შეუსწავლელია, წინასწარი მონაცემებით ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. სამშენებლო ქვაბულის გათხრის დროს რაიმე არქეოლოგიური ნიშნის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოები უნდა იქნას შეჩერებული და შეტყობინება გაეგზავნოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საკვლევი ტერიტორიის ისტორიული რეტროსპექტივა, განვითარების ქრონოლოგია და ეტაპები

-ტერიტორია, სადაც საკვლევი ტერიტორია მდებარეობს, XIX საუკუნის დასაწყისში იწყებს განვითარებას. ასეთი აუცილებლობა განპირობებული იყო "ავლაბრიდან" "კუკიის" და "დიდუბის" განშტოებით "ავჭალისაკენ" მიმავალი გზა, რომლის ღერძზე გაჩნდა დასახლება.
-წერილობით წყაროებში "ჩუღურეთს" (რომელსაც უნდა მივაკუთვნოთ საკვლევი ტერიტორია), ოღონდ "ჩუხურის" დასახელებით 1707 წელს გაცემულ წყალობის სიგელში ვხვდებით. ის, რომ XVII საუკუნეში "ჩუღურეთში" დასახლება იყო, შეიძლება იქიდან დავასკვნათ, რომ "ჩუღურეთიდან" ცხრა მოლაშქრის გამოყვანა შეიძლებოდა.
-ვახუშტი, "ჩუღურეთს" „ფოსო"-ს უწოდებს, რაც საბას მიხედვით მცირე „დაღრმომბილი"-ს ნიშნავს ე.ი. დაღრმავებულს. ჩუღურეთი თურქული სიტყვიდან „ჩუკორიდან" არის წარმოშობილი და ორმოს, ფოსოს, ღრმას, ხრამს, ფლატეს, დაცემულ ადგილს ნიშნავს.
-ვახუშტისეულ რუქის მიხედვით, 'ჩუღურეთი" ორ ხევს: სამხრეთით (ე.წ. "კიბალჩიჩის" ხევის) და ჩრდილოეთით დიდ ხევს შორისაა მოქცეული და მტკვრის პირასაა დასახლებული.
-ქ. თბილისი და მისი სანახები სოფლებითა და გარეუბნებით ოდითგანვე მეფის საკუთრება იყო. თუმცა გაურკვეველი მიზეზებითა და მოტივებით ზოგი სოფელი და ადგილი წყალობებით ხელიდან ხელში გადადიოდა. ასე მოხდა ჩუღურეთის მაგალითზეც, როცა ერეკლე II-მ 1795 წელს დეკემბერში სოფელი "ჩუღურეთი" თავად ამატუნს უბოძა, რომელიც გიორგი მეთორმეტის მეუღლემ მარიამმა უკან დაიბრუნა, თუმცა სამოქალაქო ექსპედიციამ შემდგომში სოფელი კვლავ ამატუნს დაუბრუნა. ამ დროისათვის "ჩუღურეთი" მოიცავს 53 დესეტინამდე მიწის ნაკვეთს 104 კომლით, ათი აგურის ქარხნით, სამი სამჭედლოთი, საპონის ქარხნით, ორი დუქნით, ერთი თონით, სამღებროთი და სხვა საყოფაცხოვრებო აუცილებლობით.
-1820 წელს "ჩუღურეთი" "კუკიასთან" ერთად ქალაქს შეუერთდა, თუმცა მისი გაქალაქურობა კარგა ხნის განმავლობაში არ მომხდარა.
-1827 წელს დაარსდა კომიტეტი, რომელსაც ეკისრებოდა თბილისის კეთილმოწყობა. ამ კომიტეტში შედიოდა საგარეუბნო პროკურორი, პოლიცმეისტერი, საგარეუბნო არქიტექტორი და ინჟინერი. კომიტეტი დაგეგმარების და განაშენიანების წინადადებებს უდგენდა სამხედრო გუბერნატორს, რომელიც თავის მხრივ იღებდა საბოლოო

გადაწყვეტილებას. ამ დროისათვის “ჩუღურეთში” მეტწილად მიწური სადგომები, ერთსართულიანი სახლები იდგა, რომლის ქალაქგეგმარებით საკითხებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამიტომ სამხედრო გუბერნატორის საპიაგნის მიერ კომიტეტს დაევალა “ჩუღურეთის” დაგეგმარების წინადადებები შეემუშავებინათ, რომლის მიხედვით უკვე აიკრძალა თვითნებური მშენებლობები.

-ამ დროისათვის “ჩუღურეთი” ქალაქისაგან მეტად განსხვავდება და მასთან კავშირი ჭირდა, ამიტომ 1827 წელს სამოქალაქო გუბერნატორის მითითებით იწყება ხიდის მშენებლობა. სავარაუდოა, რომ არაგვის ერისთავის მიერ აგებული და შემდგომ დანგრეული ხიდის აღდგენასთან გვქონდეს საქმე.

-1845 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ქალაქის შემოგარენში, მათ შორის “ჩუღურეთში”, სააღმშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად დააარსა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც კიდევ ერთხელ უნდა დაედგინა ქალაქგეგმარებითი პრობლემები.

-XIX საუკუნის 40-იან წლებში “ჩუღურეთი” მთლიანად ქალაქის განუყოფელი ნაწილი ხდება და თითქმის 20 წლის განმავლობაში მისი დაგეგმარება განვითარების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

-“ჩუღურეთში” დღეს არსებულმა ქუჩების ქსელმა თავისი უწინდელი სახე XIX საუკუნის 50-60-იან წლებში მიიღო. ამ დროისთვისაც “ჩუღურეთში” სამოსახლო მიწის ნაკვეთები მრავლად იყო, რომელსაც ყიდულობდნენ ქართული წარმომავლობის მოქალაქეები. საგულისხმოა, რომ თბილისელები სასმელ წყლად იყენებდნენ მდინარე მტკვარს. ამ მიზნით მდინარეზე მოეწყო ჩასასვლელი და იქიდან წყალსაქაჩი, რომელიც დღევანდელი წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სიახლოვეს იყო.

-“ჩუღურეთის” და “კუკიის’ მიმართულებით ქალაქის განვითარება საკუთრივ თბილისისა და “კალასა” და “გარეუბანთან” მტკვარზე საკომუნიკაციო ნაგებობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, ამიტომ XIX საუკუნის 40-იან წლებში შემუშავდა ხიდის პროექტი, რომელსაც უნდა დაეკავშირებინა შუასაუკუნეების ქალაქი მის სატელიტ უბნებთან. ამიტომ მეფისნაცვლის ვორონცოვის დავალებით ხიდის პროექტი შეადგინა ინჟინერ-არქიტექტორმა ჯ.სკუდიერმა, რომლის მშენებლობა 1853 წელს დამთავრდა და რომელსაც ვორონცოვის სახელი ეწოდა.

- უახლოესი ისტორიის წყაროებზე დაყრდნობით საკვლევი ტერიტორია უფრო “ჩუღურეთსაა” მიკუთვნებული, თუმცა XVIII საუკუნეში ტერიტორია “კუკიის” სახელწოდებით მოიხსენიება, უფრო

დაწვრილებით კი ვახუშტისეულ გეგმაზე ეს ადგილი „ახალი სოფლის“ სახელწოდებით არის დატანილი. “კუკიის” სახელწოდება კი უბანმა დროთა განმავლობაში ‘ჩუღურეთით” შეიცვალა.

- საკვლევი ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების საკითხებზე უფრო ნათლად წარმოდგენას, თბილისის XIX საუკუნის რუქებზე საკვლევი ტერიტორიის ანალიზი გვაძლევს:

- თბილისის 1844 წლის (იხ.დანართი №3) რუქაზე საპროექტო ტერიტორია მეტად მეჩხერადაა დასახლებული. აქ გამოკვეთილია ავჭალისკენ მიმავალი გზის კონტურები, რომელიც “ალექსანდორფი”-საკენაა მიმართული.

-1867 წლის თბილისის რუქაზე (იხ.დანართი №4) საკვლევი ტერიტორია საპროექტო ქუჩების ქსელშია მოხვედრილი, როგორც ჩანს ამ დროისათვის დაიკვალა “ჩუღურეთში” ქუჩების ბადე.

-1887წ თბილისის რუკაზე (იხ.დანართი №5) ჩუღურეთის ქუჩების ქსელი ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს, სადაც საკვლევი ტერიტორია მთლიანად მოშენებულია.

-1903 წლის თბილისის რუქაზე (იხ.დანართი №6) ქალაქის ამ № IX მონაკვეთზე კვარტლების მოშენება უფრო ნათლადაა გმოკვეთილი.

-1907 წლის თბილისის რუქაზე (იხ.დანართი №7) რამე ცვლილება წინანდელთან შედარებით არ შეიმჩნევა. თუ არ ჩავთვლით კვარტლების შიგნით ჩიხურ განშტოებებს.

-1913 წლის თბილისის რუქაზეც (იხ.დანართი №8)რაიმე ცვლილებები არ აღინიშნება.

- მოყოლებული საბჭოთა პერიოდიდან 1924წ. და 1934წ. (იხ.დანართი №№8,9) ჩათვლით საპროექტო ტერიტორიაზე რამე ცვლილება არ მომხდარა. ამ დროისათვის პერმანენტულად ხდება ცალკეული შენობა-ნაგებობათა თაობათა ცვლა, რომელიც გავლენას ვერ ახდენს განაშენიანებაზე, ცალკეული ეზოების სიღრმეებში კი ჩნდება ახალი სტიქიურად ნაგები შენობები.

- საბჭოთა პერიოდში საკვლევმა ტერიტორიამ სახეცვლილება 80-იანი წლების დასაწყისში განიცადა როცა აქ აშენდა ე.წ. “მედიკების” სახლი, რომელმაც გარკვეული დისონანსი შეიტანა ჩამოყალიბებულ გარემოში. ამ დროისათვის დაინგრა კ.ხეთაგუროვის ქუჩის მტკვრის სანაპიროზე გამავალი განაშენიანებაც, რომელიც ქალაქის ამ მონაკვეთში საკმაოდ ადაპტირებული და შეგუებული იყო. დროის ამ მონაკვეთში ასევე დაინგრა ძეგლის ნიშნის შენობა ნაგებობებიც, ასევე მეტად საინტერესო შიდა ეზოიანი აგურში ნაშენები საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობდა ე. ახვლედიანის ქუჩის დასაწყისის და ახუნდოვის ქ. კვეთაში და

რომელსაც ძეგლის სტატუსი გააჩნდა. რაც შეეხება საკვლევ საპროექტო ტერიტორიას მისი გამოთავისუფლებაც ამ დროისათვის მოხდა, რასაც შეეწირა ამ ტერიტორიაზე არსებული როგორც ძეგლის ნიშნის, ასევე ფონური განაშენიანებაც. ერთ-ერთი ასეთი შენობა, ჩხეიძის №45 უკიდურესად სავალალო მდგომარეობაში დღესაცაა შემორჩენილი.

საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ანალიზი

- საკვლევი ტერიტორია "ჩუღურეთის" განაშენიანების კონტექტსტში უნდა განვიხილოთ.
- დამკვეთის მოთხოვნა, ჩხეიძის ქუჩა № გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე ახალი მოცულობის მშენებლობის შესახებ არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა. ასეთი ვალდებულებას 1987 წლის "ისტორიული ქალაქების დაცვის შესახებ", ვაშინგტონის საერთაშორისო ქარტიის მე-10 მუხლი ითვალისწინებს. ციტატა „იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია განაშენიანებაში ცვლილებების შეტანა ან ახალი შენობის აშენება, აუცილებელია არსებული სივრცითი მოწყობის შენარჩურება, უმთავრესად მისი სტრუქტურისა და მასშტაბის სახით, რადგან ამას გვავალდებულებს ამ შენობების ანსაბლის ფასეულობა. თანამედროვე ხასიათის ელემენტების შეტანამ იმ პირობით, თუ არ დაირღვა ანსაბლის ჰარმონია, შესაძლებელია მის გამდიდრებას შეუწყოს ხელი". ხოლო "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების ზონაში დასაშვებია ისეთი ახალი მშენებლობები, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ ზონაში მოქმედ რეჟიმს. (უპირველესად კი დაკარგული ელემენტების აღდგენით, ამ შემთხვევაში გამოთავისუფლებულ ტერიტორიის ახალი მოცულობით შევსებით)
- დიდი მცდელობის მიუხედავად საპროექტო ტერიტორიაზე დანგრეული საცხოვრებელი სახლების გრაფიკული მასალის მოძიება არ მოხერხდა (სახლები დანგრეული იქნა 1980-იანი წლების დასაწყისში), თუმცა მეზობლების გამოკითხვით დგინდება რომ საპროექტო ტერიტორიაზე დანგრეული საცხოვრებელი სახლების სართულიანობა არ აღემატებოდა ორ სართულს მაღალი ცოკოლის სართულით.
- საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს კუმისის და ნ. ჩხეიძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული ნ. ჩხეიძის №46/2 და ნ.

ჩხეიძის ქ. №37 ძეგლ-სახლები, “ჩუღურეთი”-სათვის და ამ გარემოსათვის დამახასიათებელი არქიტექტურით და გეგმარებითი სტრუქტურით იყო წარმოდგენილი, ამდენად ახალი საპროექტო მოცულობის პროექტირებისას მათი არსებობა ამ გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

- საკვლევ ტერიტორიაზე XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის მიჯნაზე აშენებული საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული შემკულობანი ამ უბნის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს და შეიძლება ითქვას მარტო ამ უბნისაა, კერძოდ, ყველა საცხოვრებელ სახლს, რომელიც ფასეულს წარმოადგენს, გააჩნია რკინის ნაჭედი ჭიშკრები. შიგა ეზოში შესასვლელი თაღები, ნალესობაში გამოყვანილი მხატვრული პროფილები, ლითონის ჭედურობაში გამოყვანილი აივნები, მაღალი პარაპეტიები და სხვა არქიტექტურული ელემენტები.

-ასევე საინტერესოა ქუჩაზე განთავსებული ფონური განაშენიანებაც, რომლებიც თავიანთი ნეიტრალობით ქმნიან ერთიან პლასტს.

- საგულისხმოა, რომ მცირედი გამონაკლისის გარდა თავად ჩხეიძის ქუჩა და მისი პალალელური ქუჩები უწყვეტი მოშენებით ხასიათდებიან, რაც ასევე მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარებითი ფაქტორია.

- ზოგადად, საკვლევი ტერიტორია და “ჩუღურეთის” ეს უბანი დღეისათვის მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია, ამდენად ეს მონაკვეთი მოითხოვს მეტ ქალაქგეგმარებით ორგანიზებას.

- საგულისხმოა, რომ “ჩუღურეთში” ბოლო დროს არ განხორციელებულა ისეთი ქალაქგეგმარებითი ჩარევა, რომელიც ამ უბნის სემანტიკას გააუმჯობესებდა, პირიქით, “ჩუღურეთის” ზედა ფენებში წარმოებული თითქოსდა უმნიშვნელო ჩარევებია, ჯამში უარყოფით ქალაქგეგმარებით სახეცვლილებას იწვევს.

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დასკვნითი ნაწილი და რეკომენდაციები

- კვლევის ჯამური შედეგებიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიაზე დამკვეთის მიერ მოთხოვნილი საცხოვრებელი ფუნქციის მქონე ახალი მოცულობის განსათავსებლად გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები და მოთხოვნები:

- აპრიორი პროექტირებას საფუძვლად უნდა დაედოს განაშენიანების რეგულირების ზონაში მოქმედი რეჟიმის მოთხოვნები.
- იმ მიზნით რომ საპროექტო ტერიტორიაზე მიღწეულ უნდა იქნას განაშენიანების რეგულირების ზონაში, უმთავრესი მახასიათებელი ქალაქგეგმარებითი ნიშანი, საჭიროა საპროექტო ტერიტორია, რომელიც შდგება 3 საკადასტრო ერთეულისაგან, მექანიკურად არ უნდა იქნას გაერთიანებული, არამედ საპროექტო მთლიანი მოცულობა დანაწევრებული იქნას ისე რომ მისი აღქმა მოხდეს როგორც ცალკე დამოუკიდებელი მოცულობები.
- საპროექტო ტერიტორიაზე ახალი მოცულობის განთავსება უნდა მოხდეს ისე, რომ ქუჩის მოშენების უწყვეტობა არ იქნეს დარღვეული, ამასთან ახალი მოცულობის სილუეტი კომპოზიციურად უნდა სიმბიოზში იყოს არსებულ განაშენიანებასთან.
- იმდენად, რამდენადაც საპროექტო ტერიტორიაზე დაკარგული მოცულობების გრაფიკული მასალა არ მოგვეპოვება, მისი აღდგენის იდენტურობაზე ვერ ვიმსჯელებთ. ამდენად ახალი მოცულობა ფუნქციური და სივრცითი ორგანიზების თვალსაზრისით უნდა დაექვემდებაროს განაშენიანების რეგულირების ზონაში მოქმედ რეჟიმს.
- უნდა გამოირიცხოს რეტროს სტილი. ახალი მოცულობის პროექტირებისას გამოყენებული უნდა იქნას დღევანდელობის მაინდეტიფიცირებელი არქიტექტურული სტილი.
- ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დადგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ნ. ჩხეიძის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს არსებული განაშენიანების სივრცითი მოწყობა, ძირითადად ამ უკანასკნელთა სართულიანობის (შენობის სიმაღლის) გათვალისწინებით.
- წინამდებარე რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო არ არის, თუმცა სასურველია. ამდენად, სამართლებრივ მხარეს ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დასადგენად სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახური გასცემს.

არქიტექტორი ჯ. ბაბუნაშვილი

გრაფიკული მასალა

ფ-1 ფ-2 ფ-3 ფ-4 საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ფოტოები ნ. ჩხეიძის ქუჩის მხრიდან.
ფ-5 ფ-6 საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ფოტოები სანაპიროს მხრიდან.
ფ-7 ფ-8 ნ. ჩხეიძის ქ. №46/2 №37 ძეგლ სახლები.
ფ-9 ფ-10 ნ. ჩხეიძის ქ. მხრიდან საკვლევ-საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ და მოპირდაპირეთ არსებული ექსპლუატაციავადაგასული საცხოვრებელი სახლები. (ფონური განაშენიანება).
ფ-11 ფ-12 ფ-13 ფ14 XIX საუკუნის ბოლო. ჩუღურეთის ფოტო მასალა

1. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა 1:2000 მ. ტოპოგადაღებაზე, დანართი№1
2. ისტორიულ კულტურული ძეგლების დისლოკაციის საყრდენი გეგმის ფრაგმენტი, დანართი №2
3. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1844 წ. რუკაზე, დანართი №3
4. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1867 წ. რუკაზე ,დანართი № 4
5. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 19887 წ. რუკაზე, დანართი №5
6. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1903 წ. რუკაზე, დანართი №6
7. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1907.წ რუკაზე, დანართი №7
8. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1913 წ. რუკაზე დანართი №8
9. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1924 წ. რუკაზე, დანართი №9
10. საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1934 წ. რუკაზე დანართი №10

ფოტო - 01



ფოტო - 02



ფოტო - 03



ფოტო - 04



ფოტო - 05



ფოტო - 06



ფოტო - 07



ფოტო - 08



ფოტო - 09



ფოტო - 10



ფოტო - 11



ფოტო - 12



ფოტო - 13



ფოტო - 14



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა 1:2000 მ. ტოპოგადაღებაზე, დანართი№1



ისტორიულ კულტურული ძეგლების დისლოკაციის საყრდენი გეგმის ფრაგმენტი, დანართი №2



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1844 წ. რუკაზე, დანართი №3



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1867 წ. რუკაზე ,დანართი № 4



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 19887 წ. რუკაზე, დანართი №5



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1903 წ. რუკაზე, დანართი №6



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1907.წ რუკაზე, დანართი №7



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1913 წ. რუკაზე დანართი №8



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1924 წ. რუკაზე, დანართი №9



საკვლევ საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა თბილისის 1934 წ. რუკაზე დანართი №10

